

დამტკიცებულია:
რექტორის 2016 წლის 29 თებერვლის
№ 03/6 ბრძანებით



საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება
Business Administration

სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტი

თბილისი
2016

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი;

მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება (02);

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;

კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (Bachelor of Business Administration (BBA)

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი; 4 აკადემიური წელი;

სწავლების ენა: ქართული;

პროგრამის ხელმძღვანელები: ეკონომიკის დოქტორი ციალა ლომია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი მაია ბენია

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სასწავლო უნივერსიტეტის მისიის - უმაღლესი განათლება მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებისთვის. პროგრამის მთავარი მიზანია, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების მართვას, რაშიც მას დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალობა განპირობებულია საქართველოს ინტეგრაციის აუცილებლობით მსოფლიო ეკონომიკაში, საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური ინსტიტუტების და ურთიერთობების ჩამოყალიბების შეუქცევადი ხასიათით ჩვენს ქვეყანაში, რამაც მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროებში ათასობით ადამიანის დასაქმება გამოიწვია. შესაბამისად, გაჩნდა და ყოველდღიურად იზრდება ბიზნესის სფეროსათვის კვალიფიციური მენეჯერების მომზადების მოთხოვნა. ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, კორპორაციებსა და კონსალტინგურ ცენტრებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დასაშვებია:

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროგრამის სწავლების შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის თეორიებისა და პრინციპების ცოდნა და გააზრება ეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით. ქვეყნის ეკონომიკის აქტუალური საკითხების ფართო ცოდნა.

მენეჯმენტის, მათ შორის საერთაშორისო, ოპერაციული, ფინანსური მენეჯმენტის, მარკეტინგის, სადაზღვევო საქმის საფუძვლების, ძირითადი თეორიების, კონცეფციებისა და პრინციპების, მართვის მეთოდებისა და სტრატეგიების ცოდნა და კრიტიკული გააზრება, სტრუქტურული ერთეულების, სფეროს მოწინავე ტექნოლოგიების, მართვის მეთოდებისა და მოდელების ცოდნა.

ბიზნესის საფუძვლების ცოდნა, თეორიების, პრინციპების, ფუნქციების, მეთოდებისა და სტრატეგიების გააზრება, კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

ბუღალტერიის საფუძვლების, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის აგების პრინციპების, აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორული საქმიანობის სტრუქტურისა და ორგანიზაციის ცოდნა და გააზრება, კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;

სააფინანსო კონცეფციებისა და ფინანსების ორგანიზაციის, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების, ინვესტიციების პრინციპებისა და მექანიზმების ცოდნა და გააზრება.

საბანკო საქმის - სისტემის, მეთოდების, პრინციპების, ფუნქციური მექანიზმების, საჯარო ფინანსების, საგადასახადო საქმის რეგულირების საფუძვლების, ფინანსური ანგარიშგების წარმოების, აქტუალური და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაკრო და მიკროეკონომიკური პრობლემების ანალიზი და კრიტიკული შეფასება ეკონომიკური ანალიზის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით, რომელიც საშუალებას მისცემს განიხილოს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მოდელი;

მენეჯმენტის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენება ორგანიზაციის მმართველობით საქმიანობის ყველა სტრუქტურულ რგოლში და ასპექტში;

ოპერაციული, პერსონალის მენეჯმენტის მეთოდების გამოყენება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; პროექტის შერჩევა და შემუშავება;

ბიზნესის სფეროს სტანდარტული მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება ბიზნესში პრობლემების გადასაჭრელად;

ბუღალტრული ანგარიშგების დოკუმენტების შედგენა, ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტების ინტერპრეტაცია; აუდიტორული მეთოდების გამოყენება ორგანიზაციის საქმიანობის შეფასებისას;

ფინანსების სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათ გადაჭრა ფინანსური მეთოდების გამოყენებით; ფინანსური მეთოდების გამოყენებით საფინანსო პოლიტიკის განხორციელებისათვის გზების დასახვა; საბანკო საქმის- სისტემის, მეთოდების, პრინციპების, ფუნქციური მექანიზმების გამოყენება საბანკო ოპერაციების წარმოებისას;

საქართველოს საგადასახადო კოდექსის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და საგადასახადო სისტემის სხვა მარეგულირებელი ნორმების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად; ფინანსური მეთოდების გამოყენებით ფინანსური კაპიტალის მართვა; ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო ფინანსების სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციფიური ფინანსური მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად;

მარკეტინგული პრობლემების გადაჭრის მიზნით, მარკეტინგის თეორიული კონცეფციების, მეთოდების/სტრატეგიებისა და მარკეტინგული კვლევების მონაცემების გამოყენება;

მომხმარებელთა ქცევის განმსაზღვრელი ძირითადი კულტურული ფაქტორების გამოყენება, სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების, ბიზნესქცევისა და საქმიანი ურთიერთობის წესების გათვალისწინება ბიზნეს საქმიანობის დროს.

დასკვნის უნარი

ბიზნეს ერთეულის, ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;

პროექტების შემუშავების, კონტროლისა და მართვის ეფექტური მოდელებისა და მექანიზმების ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტების წაკითხვა და ანალიზის გაკეთება; ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი, აუდიტორულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენა და დასკვნების გაკეთება;

ფინანსური მეთოდების გამოყენებით სიტუაციის ანალიზი; გამორჩეული ფინანსური მეთოდების, ორგანიზაციების მარკეტინგული სტრატეგიებისა თანამედროვე მექანიზმების საფუძველზე სიტუაციის ანალიზის გაკეთება; კერძო და საჯარო სფეროში განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი ფინანსური აღრიცხვის მეთოდების გამოყენებით; ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და დასკვნების გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი

- მენეჯმენტის, ორგანიზაციის, ბიზნეს ერთეულის შიგნით და გარეთ ეფექტური კომუნიკაციების დამყარება; ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების ფორმირებაში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; საერთაშორისო ელექტრონულ ბიზნესთან დაკავშირებული ელექტრონული სისტემების ინფორმაციის გამოყენება და მართვა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის მოძიება მართვის ეფექტური მეთოდის შესარჩევად; დარგობრივი ლიტერატურის მოძიებისათვის;
- დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა დაინტერესებულ პირთათვის ქართულ და უცხოურ ენაზე (ინგლისურ ან გერმანულ) პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;

- აღნიშნულ თემატიკაზე დისკუსიაში მონაწილეობა და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება რეფერატის, პროექტის წარმოდგენის დროს .

სწავლის უნარი

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და დაგეგმვა;

საკუთარი ცოდნის ფარგლების განსაზღვრა, კონკრეტული მიმართულებით ცოდნის გაფართოების საჭიროების შეფასება;

საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;

ღირებულებები

ბიზნესისას და მენეჯმენტის მიმართულებით ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

აცნობიერებს ბიზნეს კულტურის ეთიკურ ნორმებს და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად;

გათავისებული აქვს პროექტების მართვაში ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობა და ისწრაფვის მის დასამკვიდრებლად;

შეუძლია საერთაშორისო მართვის პროცესში სუბკულტურების გათვალისწინება და ეთიკური ნორმებით ხელმძღვანელობა.

შეუძლია მმართველობით საქმიანობაში ღირებულებების შეფასება და მისი გათვალისწინებით მოქმედება;

შეუძლია აუდიტის პროფესიული კოდექსის ნორმების დაცვა, ასევე, მარკეტინგში ეთიკური ღირებულებებით მოქმედება;

შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში იხელმძღვანელოს პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვით; მონაწილეობა მიიღოს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში.

სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები.

ლექცია – ვერბალური, სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა /პრაქტიკული მეცადინეობა - ლექციაზე განხილული საკითხების განხილვა-გაცნობიერება, პრაქტიკული სახის მაგალითების განხილვა, ანალიზი და შეფასება.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა: სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობა, რომელიც მოიცავს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობას, შესწავლას, გაცნობიერებას ყოველდღიური დავალების შესრულებისას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისთვის.

წერიტი სამუშაო - შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება წერიტი/ზეპირი ფორმით.

საბაკალავრო ნაშრომი - უზრუნველყოფს სტუდენტის მინიმალური კვლევითი უნარების განვითარებას. საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი შეძლებს მოცემული თემის ირგვლივ მასალების მოძიებას (ანუ საბიბლიოთეკო და ინფორმაციული უნარ-ჩვევები), მოძიებული მასალების ზუსტი ბიბლიოგრაფიის შედგენას და მათი ძირითადი იდეების კრიტიკულად შეჯამებას, იდეების შერჩევას და ამ ღირებულების მისთვის საინტერესო კონკრეტულ კონტექსტში შეფასებას, მოცემულ თემასთან დაკავშირებული ნაშრომების წერილობითი ფორმით შეჯამებას. საბაკალავრო ნაშრომში სტუდენტი ასევე მოახდენს კვლევის თემისა და დიზაინის გადაწყვეტას; ლიტერატურის მიმოხილვის დაწერას; მონაცემთა მოპოვება/შეგროვების სხვადასხვა ტექნოლოგიების განხილვა/შერჩევას. საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტს გამოუმუშვდება დამოუკიდებლად მუშაობის უნარები, შეიძენს ცოდნას და საბაკალავრო ნაშრომის სახით მოახდენს ამ კომპონენტთა წარმოჩენას სხვადასხვა მიმართულებით: შეარჩევს აქტუალურ თემას დარგობრივ სფეროში; თემის გარშემო მოიძიებს მასალებს, მიღებული შედეგებით მოამზადებს ნაშრომს და განახორციელებს პრეზენტაციას/დაცვას კომისიის წინაშე.

პრაქტიკა - პრაქტიკის მიზანია სტუდენტებში განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მათ ადაპტაციას. პროფესიული პრაქტიკის მაღალორგანიზებულად წარმართვის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამოცანებია: სტუდენტთა განაწილება საწარმოებში/ორგანიზაციებში მათი დარგი/სპეციალობის შესაბამისად, პრაქტიკის პროცესის განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტების პროფესიულ დახელოვნებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. პროფესიული პრაქტიკა წარმოადგენს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. იგი ტარდება VIII სემესტრში. მისი მიზანია, ბაკალავრის თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განმტკიცება, ბიზნესის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავებისა და განსაზღვრის გამოცდილების შეძენა. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტი ეცნობა სამუშაოს შინაარსს, აგროვებს ფაქტიურ მასალას, ადგენს სქემებს, ეცნობა ინსტრუქციებს, დოკუმენტაციას, აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს და კონკრეტულ წინადადებებს.

სტუდენტები ავსებენ პრაქტიკის დღიურს. დაცვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებებათა და ბიზნესის ფაკულტეტზე. (დაცვაზე დასაშვებად სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შევსებული დღიური ბეჭდით დამოწმებული, პრაქტიკის ობიექტიდან ხელმძღვანელის დახასიათება და პრაქტიკის ანგარიში).

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას პროფესორი სწავლების პროცესში იყენებს სხვადასხვა მეთოდს, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი:

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

ლექცია – ვერბალური - სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული თემების განხილვა.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - თეორიული მასალის ვერბალური პრეზენტაცია - დავალებით განსაზღვრული თემატიკის ფარგლებში სტუდენტის თეორიული ცოდნის შემოწმება.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ჯგუფური მუშაობა - სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა და დავალების მიცემა, რომელსაც შეასრულებენ ინდივიდუალურად და უზიარებენ ერთმანეთს ან ინაწილებენ დავალებას და შემდგომ ერთობლივად მუშაობენ; ხელს უწყობს გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სხვისი მოსაზრების მოსმენას, გათვალისწინებას.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, სტუდენტები ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და წარმოადგენენ თავის დასკვნას.

სავარჯიშოები/სიტუაციური ამოცანები - სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება/ წარმოება;

პროექტის პრეზენტაცია - ერთჯერადი, მიზანმიმართული ღონისძიებების ერთობლიობა, რომლის განხორციელებაც მოითხოვს პროექტის დასაბუთებას, ანალიზს, რესურსებისა და საქმიანობის დაგეგმვას, პროექტის განხორციელების რისკების გათვალისწინებას, პროექტის ობიექტის ეფექტიანობის შეფასებას.

რეფერატის პრეზენტაცია - წერიითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომლის პრეზენტაციასაც აკეთებს სტუდენტი ჯგუფის წინაშე. რეფერატით უნდა გამოვლინდეს აპლიკანტის კვლევის ინტერესის სფერო, მისი აკადემიური დონე დარგობრივი სფეროს ფარგლებში და მეცნიერული კვლევის უნარი. მოსამზადებლად სტუდენტს დასჭირდება დამატებითი ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და წერილობითი სახით ჩამოყალიბება. ეს განუვითარებს მას სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის, მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების, ლოგიკურად ჩამოყალიბებული თემის წერისა და მისი ეფექტური ფორმით პრეზენტაციის უნარს.

ქვიზი - წერილობითი ნამუშევარი, რომელიც მოიცავს განვლილი მასალის ფარგლებში კონკრეტული შემთხვევების შეფასებასა და ცოდნისა ინტეგრირების უნარის შემოწმებას.

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ამასთან, უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი

სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ;

სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

❖ **ანალიზი** - კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების მიხედვით კანონმდებლობის სამართლებრივი თავისებურებების განხილვა.

❖ **სწავლების სინთეზის პროცესი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას.

როლური და სიტუაციური თამაშები – მიეკუთვნება თამაშების ტიპის მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

პრეზენტაცია - ნამუშევარის ეფექტური ფორმით წარდგენა აუდიტორიისათვის.

წერილობითი დავალების შესრულება - სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის შედგენა.

პრაქტიკული მეთოდი – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.

უცხო ენის სწავლების პროცესში ასევე გამოიყენება :

კომუნიკაციური სწავლების მეთოდი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და აერთიანებს ამ მიმართულებით ეფექტურ მრავალ სხვა მეთოდს, რომლებიც ასევე აქტიურად გამოიყენება ჩვენი სასწავლო კურსის სწავლებისას.

წყვილური მუშაობა (pairwork) - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა წყვილებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. წყვილები ერთობლივად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ დანარჩენ წევრებს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სწავლა სწავლებით — ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება უფრო კოორდინატორად, ვიდრე მასწავლებლად, რადგან სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. შესაბამისად ეს მეთოდი განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი.

აუდიო-ვიზუალური მეთოდი-ლექცია/პრაქტიკულ მეცადონეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამხვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი- რომლის მთავარი მიზანია წერიტი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე-სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.

შენიშვნა: სწავლის შედეგების ზემოთ დასახელებული მეთოდები და ასევე სხვა მეთოდები (ზემოდასახელებული კომპონენტების არჩევანი) ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისთვის ასახულია სილაბუსებში, რომელსაც თითოეული ლექტორი განსაზღვრავს ინდივიდუალურად.

დასაქმების სფერო:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდგომ, ბაკალავრს შეუძლია სახელმწიფო, ან კერძო სექტორში დაიკავოს ქვედა ან შუალედურ რგოლში "სპეციალისტის" თანამდებობა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს პროფესიული საქმიანობა - საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სფეროს კომპანიებში, აგრეთვე, საპენსიო ფონდებში, ინვესტიციურ ფონდებში, აუდიტორულ ფირმებში, საბაჟო, საგადასახადო სისტემის რგოლებში, სახელმწიფო ორგანოებში იმ პოზიციებზე სადაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნაა ან გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე –მაგისტრატურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მოცულობა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) და პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება საშუალო სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 4 სასწავლო წელს, 8 სემესტრს. საქართველოს კანონიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ გამომდინარე, პროგრამის შესასრულებლად სტუდენტს ესაჭიროება 240 ECTS (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო (საკონტაქტო), ასევე დამოუკიდებელ მუშაობას. ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს, შუალედურ გამოცდებს, ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი შეფასებით/გამოცდით.

საკრედიტო სისტემის შესაბამისად, დაწესებულებაში სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 38 სასწავლო კვირას ანუ სემესტრში 19 სასწავლო კვირას (21 კვირა დამატებითი გამოცდის შემთხვევაში), მათ შორის 15 კვირა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და ასე შემდეგ, მე-6, მე-12 კვირას შუალედური გამოცდები, მე-18 და მე-19 კვირას დასკვნითი გამოცდები, (20-21 კვირა-დამატებითი გამოცდები საჭიროების შემთხვევაში). სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

* შენიშვნა: სახელმწიფოს მიერ დადგენილ სადღესასწაულო დღეებში ან ლექტორის მიერ გაცდენილი საათები ექვემდებარება აღდგენას და ტარდება ინდივიდუალური გრაფიკით სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებით.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა, სასურველია დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი. თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებითა“ და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

-
პროგრამის სტრუქტურა

კრედიტები სასწავლო კურსებზე გადანაწილებულია შემდეგი პრინციპით:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები-35კრედიტი;
- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები-10 კრედიტი (30 კრედიტიდან)
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 115 კრედიტი
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 50 კრედიტი (95 კრედიტიდან)
- პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი
- თავისუფალი სასწავლო კურსი/კურსები - 20 კრედიტი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ტარდება ევროპული საკრედიტო სისტემის სტანდარტის შესაბამისად, სადაც დანერგილია შეფასების უწყვეტი ხასიათი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსების სწავლებისას სტუდენტების თითოეულ სასწავლო კურსში (საგანში) მოსწრება ფასდება ევროპული 100 ქულიანი შეფასების სისტემით:

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი ნიშნავს - *A*“ფრიადი;”
- მაქსიმალური შეფასების 81-90 % ნიშნავს - *B*“ძალიან კარგი;”
- მაქსიმალური შეფასების 71-80 % ნიშნავს - *C*“კარგი;”
- მაქსიმალური შეფასების 61-70 % ნიშნავს - *D* “დამაკმაყოფილებელი”;
- მაქსიმალური შეფასების 51-60 % ნიშნავს - *E* “საკმარისი”;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% ნიშნავს - *Fx* “ვერ ჩააბარა,” სტუდენტს ჩასაბარებად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- მაქსიმალური შეფასების 0-40 % ნიშნავს *F* “ჩაიჭრა”, სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დამატებით გამოცდაზე გასვლა შესაძლებელია იმავე სემესტრში დასკვნით გამოცდაზე გასვლიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება – 100 ქულა, ნაწილდება შემდეგნაირად:

შუალედური სემესტრული შეფასება - მინიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური სემესტრული შეფასება დაყოფილია კომპონენტებად:

აქტივობა -სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, რეფერატის მომზადება პრეზენტაცია, ქვიზი,დისკუსია და სხვ. (დაკონკრეტებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში)

* 2 შუალედური გამოცდა

* კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი შესაბამის სილაბუსში.

სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება, თუ მას სემესტრული შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა ჯამში მინიმუმ 51 ქულის დაგროვება.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით მას ფინანსურად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებზე, სამეცნიერო ჟურნალის გამოცემასა და ყოველწლიური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებასა და მასალების გამოქვეყნებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა განხორციელდება თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში, რომელიც უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. სასწავლო პროცესს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები – მეცნიერებათა და აკადემიური დოქტორები, პროფესორები, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და ეწევიან ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. **(იხილეთ დანართი 3)**

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ფართით, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით, სილაბუსებით, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით; დამატებითი საინფორმაციო წყაროებით; გამოყენებულია აგრეთვე პრაქტიკული მუშაობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და უახლესი კომპიუტერული ტექნიკა. სტუდენტი მუშაობის პროცესში ისარგებლებს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკით, სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია პროექტში ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის -eIFL კერძოდ ,უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

- EBSCOHost (search.epnet.com)
- BioOne (www.bioone.org)
- IMF eLibrary (www.elibrary.imf.org)

უნივერსიტეტს შექმნილი აქვს სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია სამართლებრივ-საინფორმაციო კომპიუტერული სისტემა „კოდექს-R3“ მონაცემთა ბაზის სახით, რომლითაც სარგებლობენ როგორც სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, ასევე ადმინისტრაცია.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილია შესაბამისი პროფილის პრაქტიკის ობიექტებით.

დანართი 1

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა-ბიზნესის ადმინისტრირება , სასწავლო გეგმა.

#	სასწავლო კომპონენტი	წინაპრობები	კრედიტები	საათები	საათების განაწილება					სასწავლო სემესტრები							
					საკონტაქტო საათები			სულ საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი მუშაობის საათები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
					ლექცია	პრაქტიკა (ჯგუფში მუშაობა, სემინარული/პრაქტიკული /ლაბორატორიული მუშაობები)	შუალედური გამოცდები/დასკვნითი გამოცდა										
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები-35 კრედიტი																	
1	აკადემიური წერა	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	7	52	73	X							
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	წინაპირობის გარეშე	5	125	15	30	7	52	73	X							
3	საქართველოს ისტორია	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	6	51	74	X							
4	უცხო ენა -ინგლისური 1 (B1.1)	ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ჩაბარება ან შიდასაუნივერსიტეტო ტესტირება ან ენის შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენა	5	125	-	60	7	67	58	X							
5	უცხო ენა - ინგლისური 2 (B1.2)	ინგლისური 1(B1.1)	5	125	-	60	7	67	58		X						

6	უცხო ენა - ინგლისური 3 (B2.1)	ინგლისური 2 (B1.2)	5	125	-	60	7	67	58			X					
7	უცხო ენა - ინგლისური 4 (B2.2)	ინგლისური 3 (B2.1)	5	125	-	60	7	67	58				X				
9	უცხო ენა-ინგლისური 1 (A1.1) *	შიდასაუნივერსიტე ტო ტესტირება	5	125	-	60	7	67	58								
10	უცხო ენა - ინგლისური 2 (A1.2)	ინგლისური ენა 2 (A1.1)	5	125	-	60	7	67	58								
11	უცხო ენა --ინგლისური 3 (A2.1)	ინგლისური ენა 3 (A1.2)	5	125	-	60	7	67	58								
12	უცხო ენა - ინგლისური 4 (A 2.2)	ინგლისური ენა 4 (A2.1)	5	125	-	60	7	67	58								
13	უცხო ენა-გერმანული 1 (B1.1)	ეროვნულ გამოცდებზე გერმანული ენის ჩაბარება ან შიდასაუნივერსი ტეტო ტესტირება ან ენის შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენა	5	125	-	60	7	67	58	X							
14	უცხო ენა - გერმანული 2 (B1.2)	გერმანული 1(B1.1)	5	125	-	60	7	67	58		X						
15	უცხო ენა -გერმანული 3 (B2.1)	გერმანული 2 (B1.2)	5	125	-	60	7	67	58			X					
16	უცხო ენა - გერმანული 4 (B2.2)	გერმანული 3 (B2.1)	5	125	-	60	7	67	58				X				
17	უცხო ენა -გერმანული 1 (A1.1) *	შიდასაუნივერსი ტეტო ტესტირება	5	125	-	60	7	67	58								

18	უცხო ენა- გერმანული 2 (A1.2)	გერმანული) ენა 1 (A1.1)	5	125	-	60	7	67	58								
19	უცხო ენა -გერმანული 3 (A2.1)	გერმანული) ენა 2 (A1.2)	5	125	-	60	7	67	58								
20	უცხო ენა- გერმანული 4(A 2.2)	გერმანული) ენა 3 (A2.1)	5	125	-	60	7	67	58								
საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები-10 კრედიტი																	
1	ცივილიზაციის ისტორია	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	6	51	74		X						
2	მეტყველების კულტურა	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	6	51	74		X						
3	კულტურული ანთროპოლოგია	წინაპირობის გარეშე	5	125	20	22	7	49	76		X						
4	პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5	125	15	30	6	51	74		X						
5	საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	6	51	74		X						
6	კულტუროლოგია	წინაპირობის გარეშე	5	125	20	22	7	49	76		X						
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 115 კრედიტი																	
1	კალკულუსი 1	წინაპირობის გარეშე	5	125	30	15	7	52	73	X							
2	მიკროეკონომიკის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5	125	30	15	6	51	74	X							
3	კალკულუსი 2	კალკულუსი 1	5	125	30	15	7	52	73		X						

4	ფინანსების საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	6	51	74		X						
5	ბიზნესის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5	125	31	14	6	51	74		X						
6	მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74		X						
7	სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	6	51	74			X					
8	ბუღალტერიის საფუძვლები	კალკულუსი 2	5	125	17	28	6	51	74			X					
9	მენეჯმენტის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	6	51	74			X					
10	მარკეტინგის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5	125	31	14	6	51	74				X				
11	საგადასახადო საქმე	ბუღალტერიის საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74				X				
12	სადაზღვევო საქმე	ფინანსების საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74				X				
13	ბიზნეს სამართალი	ბიზნესის საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74					X			
14	საერთაშორისო მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74					X			
15	ფინანსური მენეჯმენტი	ფინანსების საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74					X			
16	საბანკო საქმე	ფინანსების საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74					X			
17	აუდიტის საფუძვლები	ბუღალტერიის საფუძვლები,	5	125	17	28	6	51	74						X		
18	ფინანსური ანგარიშგება	ბუღალტერიის საფუძვლები, საგადასახადო საქმე	5	125	31	14	6	51	74						X		

19	ორგანიზაციის თეორია	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74							X	
20	ოპერაციული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74								X
21	პროექტების მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74								X
22	საჯარო ფინანსები	წინაპირობის გარეშე	5	125	31	14	6	51	74								X
23	პერსონალის მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74								X

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 50 კრედიტი (95 კრედიტიდან)

1	ინვესტიციების საფუძვლები	ფინანსების საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74								X
2	ბიზნეს ეთიკა	წინაპირობის გარეშე	5	125	15	30	6	51	74								X
3	ეკონომიკური ანალიზი	მაკროეკონომიკის საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74								X
4	მცირე ბიზნესის საფუძვლები	ბიზნესის საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74								X
5	კონფლიქტების მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	16	29	6	51	74								X
6	საქართველოს ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74								X
7	ინოვაციების მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74								X
8	ფინანსური ბაზრები	მაკროეკონომიკის საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74								X
9	ფინანსური რისკები	ფინანსების საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74								X
10	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74								X

11	საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები	ფინანსების საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74						X	
12	ტრანსნაციონალური კორპორაციის ფინანსები	ფინანსების საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74						X	
13	საჯარო ადმინისტრირების საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	6	51	74						X	
14	ეკონომეტიკის საფუძვლები	კალკულუსი 2	5	125	17	28	6	51	74						X	
15	ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში	ბუღალტერიის საფუძვლები	5	125	31	14	6	51	74						X	
16	ოჯახის მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	17	28	6	51	74						X	
17	ბიზნეს ინგლისური	ინგლისური 4 (B2.2)	5	125	-	60	7	67	58						X	
18	ბიზნეს გერმანული	გერმანული 4 (B2.2)	5	125	-	60	7	67	58						X	
19	საბაკალავრო ნაშრომი	მინ.195 კრედიტის შესრულება, მათ შორის ყველა სავალდებულო საგანი	5	125	-	-	5	40	85						X	
												5	5	10	15	15
თავისუფალი სასწავლო კურსი/კურსები 20 კრედიტი																

სტუდენტს, თავისი არჩევანის შესაბამისად, შეუძლია 20 კრედიტის ფარგლებში, აირჩიოს ერთი ან რამდენიმე სასწავლო კურსი (ე.წ. თავისუფალი სასწავლო კურსი), სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული ამავე საფეხურის სხვა პროგრამიდან ან, ამ პროგრამით შეთავაზებული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან

პრაქტიკული კომპონენტი – 10 კრედიტი																	
1	პროფესიული პრაქტიკა	მინ.195 კრედიტის შესრულება, მათ შორის ყველა სავალდებულო საგანი	10	250	-	-	4	184	66								X